

## ჭონა – ქართული სააღმკრძომო კარდაკარ სასიარულო სიმღერა

ჭონა, ისევე როგორც ალილო, ბერიკობის სიმღერები, ამინდის შესაცვლელად სამღერელი ლაზარე, ელია, გონჯა და სხვა, მიეკუთვნება კალენდარულ სიმღერებს. ეს სიმღერები, წესისამებრ, სრულდებოდა წელიწადში ერთხელ, რომელიმე დღესასწაულის წინ. წესჩვეულება თავისი არსით კონსერვატულია: იგი სიცოცხლისუნარიანია მაშინაც კი, როდესაც აღარავის ახსოვს მისი ჩამოყალიბების წინაპირობა. ვახტანგ კოტეტიშვილის (1967:295) სიტყვებით, ხშირად „წესის შემსრულებელს არა სწამს ამ წესის ძალა, მაგრამ მაინც ასრულებს.“ მის ფორმასა და შინაარსს გარდასული ეპოქების კვალი ემჩნევა. პრეისტორიულ ხანაში მზის მოქცევა და ბუნიობა საფუძვლად დაედო სამინათმოქმედო კალენდარს და მასთან დაკავშირებულ დღესასწაულებს, რომლებიც საბოლოოდ ქრისტიანობამ სრულიად ახლებურად გაიაზრა. ამდენად, კალენდარული წესჩვეულებანი სხვადასხვა ისტორიულ ფენათა კონგლომერატია, რომლის შემადგენელ ნაწილთა მკაცრი გამიჯნვა, ალბათ, შეუძლებელია.

კალენდარული სიმღერა, ჩვეულებრივ, რიტუალის ნაწილს წარმოადგენს: მომღერლები კარდაკარ დადიან, სიმღერას ასრულებენ და „გასამრჯელოსაც“ ითხოვენ. ამ საერთო მახასიათებლების გარდა, ამ რიტუალებსა და სიმღერებში განმეორებადი ელემენტების მთელი წყება შეინიშნება:

1. ტერმინი *ჭონა* მეტწილად უკავშირდება ჭონს, „ტყავის, ბენვის ქუდის (აგრეთვე ტანისამოსის) მკერავს“ (ჩიქოვაძე 1964: სვეტი 1282), და განიმარტება გადაცმის და ნიღბების მინიშნებად, რათა გასამრჯელოს მომთხოვნნი ვერ იცნონ (ჩიქოვანი 1976:310; სხვა ეტიმოლოგია იხ. მამალაძე 1963:246). ზემო იმერეთში დადასტურებულია ხაპის ნიღბების ხმარება, „რომელზედაც გამოსახულია ადამიანის სახე“ (ჩიქოვანი 1976:317). ბენვით შემოსვა კი დამახასიათებელია არა *ჭონისა*, არამედ *ბერიკობისათვის*, რომელიც დიდი მარხვის წინა დღეებში იმართებოდა და ასევე გულისხმობდა კარდაკარ სიარულს და საჩუქრის მოთხოვნას.

2. სახელწოდება *ჭონა* ზოგიერთ კუთხეში, მაგალითად, მთიულეთსა (გიორგაძე 1993:13) ან კახეთში (გრ. ჩხიკვაძის ჩანაწერი სოფ. ველისციხეში, 10.7.1952, თბილისის კონსერვატორიის ფონოთეკაში), გამოიყენება საშობაო რიტუალისა ან სიმღერის აღსანიშნავად.

3. „აღათასა ბაღათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასა, ერთი კვერცხი ამოიღე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა“. ამგვარ სტრიქონებს ვხვდებით არა მხოლოდ *ჭონის* თითქმის ყველა ვერსიაში, არამედ ხევში (მაკალათია 1934:190), ზემო იმერეთში (1893:8) *ბერიკობის*, მთიულეთში *ალილოსა*, ხოლო აჭარაში *ლაზარეს* (გიორგაძე, 1993:22) სასიმღერო ტექსტებშიც.

ზემოაღნიშნულ რიტუალებსა და სიმღერებში განმეორებადი ელემენტების არსებობა, ერთი მხრივ, შეიძლება განვიხილოთ როგორც ტრადიციის მოშლის ნიშანი, თუმცა მეორე მხრივ ეს შეიძლება კანონზომიერ მოვლენადაც მივიჩნიოთ. „*Éñéí í ú é ñí ú ñé í í ò éáá í áóí àà ááí ðí á çáééþ ÷áí í á á ò í é èéé éí í é ááí éí í éðáò í í é è ááéí ñò ááí í í é í áðáí í à÷áéüí í é í ðéòðí ÷áí í í ñò è, à á ááí òéé-éé÷áñéí é í í áò í ðýáí í ñò è“* (Çáí òí ááéé: 1973:47). თუმცა, უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ნიშან-თვისებები არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს სხვადასხვა კალენდარული რიტუალისა და სიმღერის იგივეობას.

## I

ჭონას თავისებურებანი, კარდაკარ სასიარულო სხვა სიმღერებთან შედარებისას, განსაკუთრებული ძალით მუსიკალურ ფაქტურაში მჟღავნდება. ოღონდ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ *ჭონის* გავრცელების არეალი შემოფარგლულია: ქართლი, მთიულეთი, მესხეთ-ჯავახეთი, იმერეთის ჩრდილოეთი რაიონები (ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა) და, შესაძლებელია, რაჭაც<sup>1</sup>. ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა მხოლოდ ქართლურ და იმერულ მუსიკალურ ჩანაწერებზე.

ეთნომუსიკისმცოდნე თამარ მამალაძე *ჭონის* შვიდ ქართლურ ვერსიაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ სამხმიანობა *ჭონაში* ჯერ კიდევ „ჩანასახის მდგომარეობაშია. ძირითადი მელოდია და ტექსტი მიჰყავს შუა ხმას, ხოლო პირველი ხმა ბანთან ერთად მხოლოდ მელოდიის თანმხლებია“ (მამალაძე 1964:248). შვიდი დამატებითი ქართლური ვერსია, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ, ადასტურებს ამ მოსაზრებას. ქართლური ვერსიები იმგვარად შეიძლება განვალაგოთ, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს ორხმიანობიდან ზედა ხმების დამოუკიდებლობისაკენ სვლა:

1. სამხმიანობის წინა საფეხურად შეიძლება ზედა ხმების მონაცვლეობა მივიჩნიოთ (ქ1, 2): თუ ერთი ხმა თანდათან ქვემოთ ჩადის ბანთან უნისონში, მაშინ იწყებს სხვა ხმა. თუ დამწყები ხმა აგრძელებს ამ უნისონს, შესამჩნევია ნომინალური სამხმიანობა. ორივე ხმა არა მხოლოდ სხვადასხვა დროს მღერის, არამედ ასრულებს სხვადასხვა ამოცანას: დაწყება და ტექსტის მიყოლა ერთის ამოცანაა; მეორე კი უსიტყვოდ მღერის (მაგ. 1).

2. რეალური სამხმიანობის ყველაზე უბრალო ფორმაა, როდესაც ზედა ხმა ბანს ოქტავით მაღლა აორმაგებს (ქ3 - 7). ეს ხდება მეტწილად იმ შემთხვევაში, როდესაც შუა ხმა ტექსტს მიყვება. თუ კი ზედა ხმა თავად მელოდიურად მოძრავია, შუა ხმა ჩუმდება, სიმღერა ორხმიანი რჩება (მაგ. 2).

3. ბანის პირველი ხმით ოქტავით მაღლა გაორმაგება შეიძლება გადადიოდეს თავისუფალ გადასავალ მონაკვეთში, სადაც მოდულაცია სხვა ბანის საფეხურზე მზადდება და დგინდება (ქ8 - 10). ასეთ მონაკვეთებში იწყება ორივე სოლისტის „პარტნიორული“ თანამოქმედების განვითარება. თუ ეს წარმმართველი პრინციპის სახეს მიიღებს, მაშინ შორს აღარ ვიქნებით სუფრული სიმღერებისაგან, რომლებიც აღმოსავლეთქართული სამხმიანი პოლიფონიის მწვერვალს წარმოადგენს. *ჭონაში* კი წინარე განვითარების ნაშთები მაინც თვალსაჩინოა: ყოველი ზედა ხმის ახალი დაწყება წარმოებს ბანზე ოქტავით მაღლა (მაგ.3).

4. ჰომოფონიური სამხმიანობა იქმნება მაშინ, როდესაც ზედა ხმა ტერციებით შუა ხმასთან ერთად დაღმავალი რეჩიტაციით ტექსტს მიჰყვება, რა თქმა უნდა, ბანზე ოქტავით მაღალი დაწყებით. იმპროვიზაციისნაირი რეციტაციის ხასიათი ამით აუცილებლად იკარგება. რეჩიტაცია თანდათან გადადის მელოდიაში. სიმღერა იღებს მყარ რიტმულ-მეტრულ წყობას; უფრო მეტიც, ყოველი ამგვარი ვერსია (ქ11 - 14) ხასიათდება მეტნაკლებად გამოკვეთილი სამტაქტიანი პერიოდიკით (მაგ. 4).

რა თქმა უნდა, ჩვენ *ჭონას* ყველა დამახასიათებელი თვისების წარმოჩენის პრეტენზია არ გავაჩნია, მითუმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი მხოლოდ *ჭონის* თავისებურებად ვერ ჩაითვლება. ასე მაგ.: ორსაფეხურიანი, ყოველთვის ზედა საფეხურზე დასრულებული ბანი<sup>2</sup> ან მიქსოლიდიური კილოს სიჭარბე, დორიულის შენაცვლებით.

## II

ჭონას იმერული ვერსიების უმეტესობა ხარაგაულის რაიონიდანაა, სადაც ჯერ კიდევ მღერიან მას. ხუთი ჩვენთვის ცნობილი ვერსია ერთი პროტოტიპის ვარიანტს წარმოადგენს.

ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, თვალსაჩინოა მუსიკალური დიალექტის განსხვავება: თანაზომადი რიტმულ-მეტრული წყობა; მყარი პერიოდიკა; მეტნილად ჰომოფონიური ხმის წყვანა; გამოკვეთილი კადანსები; ზედა ხმები არასოდეს სცილდება ოქტავის ფარგლებს. ამის გამო ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ ქართულ და იმერულ ჭონას „საერთო არც ისე ბევრი არ აქვს“, (გარაყანიძე, 1990:116). ფრთხილად შევნიშნავთ, რომ იმერული ჭონა არა ჩანს ქართლიდან გადმოსულად (მაგ. 5)

უფრო ზუსტი დაკვირვებით იკვეთება ძირითადი პარალელები: 1. ყველა იმერული ჭონა მოიცავს საკმაოდ ვრცელ ორხმიან ნაკვეთს, რაც ამ კუთხისთვის არ არის დამახასიათებელი (მაგ. 6). 2. სულ მცირე, ერთხელ მაინც გვხვდება ბანის ოქტავით გაორმაგება, ისევე როგორც ქართულ ჭონაში ჰომოფონიური სამხმიანობა აღვნიშნეთ. 3. შუა ხმა ტექსტის გადმოცემაში წამყვანია. 4. იმერეთში, ისევე როგორც ქართლში (ქ14, კარგარეთელი 1899:8) არის ანტიფონიის ნაშთები. მე-6 მაგალითში ოთხიდან ორი ტაქტი სრულდება სხვა შუა ხმის მიერ.

ყვირილის ხეობიდან ჩვენთვის მხოლოდ ერთი ვერსიაა ჯერჯერობით ცნობილი. მსგავსება ქართულ ჭონასთან აქ ბევრად უფრო თვალსაჩინოა (მაგ. 7).

1. ტექსტს ამბობს თითქმის მთლიანად შუა ხმა, ან სოლოთი ან ბანისა და ზედა ხმის ოქტავური ბურდონის თანხლებით. 2. ორხმიან ნაკვეთებში ჩანს არა მარტო შუა ხმა, ვხვდებით ასევე ზედა ხმის გადასავალ უტექსტო სოლოს. 3. ბანი ამ ვერსიაში, როგორც ქართლში, იყენებს მარტო ორ საფეხურს, სამის ნაცვლად, როგორც ეს სხვა იმერულ ჭონაშია.

წინამდებარე მაგალითები საბოლოო დასკვნისათვის საკმარისი არ არის. საჭიროა მეტი შესადარებელი მასალა. თუმცა არქაულობა დამახასიათებელია ორივე კუთხის, ქართლური და იმერული, ჭონისათვის. და, როგორც ჩანს, ორხმიანობიდან სამხმიანობაზე გარდამავალ ეტაპზეა შეჩერებული.

## III

ჭონას მუსიკალური არქაულობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება ალილოსთან შედარებისას. უმუშალოდ ჭონისა და ალილოს შედარება მარტო იმერეთშია შესაძლებელი, რადგან ალილო ქართლში არ არსებობს.

იმერული ალილო, გამომსახველობითი საშუალებების თვალაზრისით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია: ბანი მოიცავს ჭონას სამზე მეტ საფეხურს, რაც მეტ მოდულაციას იწვევს. გვხვდება ორნაირი კადანსი: ერთში ბანი ამოდის კვარტასა ან კვინტაზე, რათა ყველა ხმასთან ერთად უნისონში ჟღერდეს. მეორეში – ზედა ხმა დაბალ ხმებთან ერთად ქმნის კვინტას. იმერულ ჭონაში გვხვდება მხოლოდ მეორე, უფრო მარტივი კადანსი. ალილოში კი ხშირად ორივე ერთმანეთის გვერდით შეინიშნება, მარტივი, როგორც შიდა კადანსი, და უნისონური ბოლოს, რაც, უწინარეს ყოვლისა, საგალობლებისთვის არის დამახასიათებელი. როგორც ჩანს, იმერულ ჭონას შესაძლო ცვლილებები არ შეხება.

ტექსტები, თავის მხრივ, ადასტურებს, რომ ალილოს ქრისტიანული ადაპტაცია უფრო შორსნასულია, ვიდრე ჭონისა. მითითება დღესასწაულის შინაარსზე, როგორც „ოცდახუთსა აი ამ თვესა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“ (ალილო ჩან. სოფ. ტოლებში, სამტრედიის რ-ნი, ედიშერ გარაყანიძის მაგიერ; ხელნა-

წერი), *ჭონაში* არ მოიპოვება. აქ დღესასწაული მარტო სახელდება. ყოველთვის წამყვანი ადგილი უკავია დალოცვასა და საჩუქრის მოთხოვნას, რაზეც ალილოში სიტყვებით „მადლი მახარობელსა“ მხოლოდ მიაწინებენ. მართალია, ქართლურ *ჭონაში*, სიმღერის წინარე სიტყვიერ მილოცვაში საუბარია „მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა“-ზე (ქ1, 3, 4, 13, 14). მაგრამ გადაძახილი „ოროლობა“ (ქ 1, 3, 14), რომელსაც ხშირად სიმღერას ჩაურთავენ, უფრო მოგვაგონებს გაორმაგების, გამრავლების მნიშვნელობის მქონე მაგიურ ფორმულას, ვიდრე ლოცვას. უცნაურადაც გვეჩვენება ვნების კვირისთვის, რბილად რომ ვთქვათ, სახუმარო მინიშნებები, როგორც „ჰე, რა ლამაზი გოგონაა, აქ დაბზრიალდი, ბიჭო, გენაცვა, აქ დაბზრიალდი!“, რომელსაც ერთ უძველეს ჩანაწერში (ქ 13) მომღერალი სიმღერის დასრულებამდე წარმოთქვამს, საგაზაფხულო რიტუალს, *ჭონას* კი უხდება.

თუ *ჭონა* შედარებით მცირე არეალშია გავრცელებული მისი მივინყების გამო, ეს შეიძლება აიხსნას ქრისტიანობასთან ნაკლები ადაპტირებულობით. მაგრამ ამით არ აიხსნება მისი შემორჩენა შეზღუდულ, კომპაქტურ და ცენტრალურ არეალში და არც ის, რომ ქართლში, სადაც *ჭონა* ყველაზე უფრო გავრცელებულია, ალილო საერთოდ არ ჩანს. ამგვარი არეალების არსებობა შესაძლოა აიხსნას მხოლოდ კომპლექსური კვლევების საფუძველზე, როდესაც მოხდება რიტუალების და სიმღერების პარალელურად სხვა ეთნოგრაფიული მასალის, დიალექტებისა და ისტორიული მოვლენების შესწავლა. ქ-ნ ნინო ღამბაშიძე თავის მოხსენებაში ამ არეალის შესახებ გვანვდის ყურადსაღებ ჰიპოტეზას.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ *ჭონა* არ არის ერთადერთი საადღგომო, ანდა საგაზაფხულო-სანესო სიმღერა საქართველოში. ასე, მაგალითად, ზემო იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმში აღდგომის კვირა დღეს სრულდებოდა საფერხულო „ქრისტე აღსდგა“, კარდაკარ სიარულით (არაყიშვილი 1950:27). იმერეთის სამხრეთ-დასავლეთში აღდგომის დღესასწაულს უკავშირდება საფერხულო „კრიალესო“, რომლის ტექსტი მთლიანად მნიშვნელობადაკარგულ სიტყვებზეა აგებული. საფიქრებელია, რომ ამგვარ მოვლენასთან გურიასა და სამეგრელოშიც გვეკონდეს საქმე, თუმცა რიტუალზე მიმანიშნებელი ტექსტის არარსებობის გამო, გაძნელება მისი გამოვლენა. ამგვარად, ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი მრავალმხრივი კვლევის საფუძველზე, საქართველოს კალენდარული წეს-ჩვეულებების რუკაზე ოდესმე სულ უფრო ცოტა თეთრი ლაქები დაგვრჩება.

## შენიშვნები

<sup>1</sup> აქ ნახსენები რიტუალი „დედოფალობა“ სრულდებოდა ბავშვების მიერ, რომლებიც თოჯინას (დედოფალას) დაატარებენ (ჯაფარიძე 1896:118). თავად ტექსტიც ძალიან ჰგავს „ლაზარეს“ ტექსტს.

<sup>2</sup> მე აღმოვაჩინე ერთ-ერთი გამონაკლისი: მ. კავსადის გუნდის ვერსიაში (ქ13) სტროფის შემდეგ მოდის დინჯი კოდა ბანის ზედა საფეხურზე, რომელიც თავის მხრივ ზედა, მესამე საფეხურზე სრულდება.

**ჭონის გამოყენებული ჩანაწერები**

*ქართლი*

- ქ 1 *ჭონა არხისი (გორის რ-ნი) 1918*, ჩამნ. გ. დ. სვანიძე (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 1883)
- ქ 2 *ჭონა კეხიჯვარი (ქარელის რ-ნი) 1956* ჩამნ. კ. როსებაშვილი (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 13/147)
- ქ 2ა *ჭონა მჭედლიშვილი 1989: 12, 1930 - 1940* წლების საარქივო ჩანაწერი
- ქ 3 *ჭონა* ჩამნ. გ. გერმანაშვილი, (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 13/50; 1899)
- ქ 4 *ჭონა ანს. „მთიები“ (Ensemble „Mtiebi“ 1996: 1 20)*
- ქ 5 *ჭონა ქვემოჭალა (კასპის რ-ნი) 1981: 76 48*
- ქ 6 *ჭონა ქვემოჭალა (კასპის რ-ნი) 1967 (Grimaud 1989: 1 21)*
- ქ 7 *ჭონა* გუნდი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით, ჩანაწერილი 1930 - 50წ. (თარხნიშვილი 1988: მხარე 1 5)
- ქ 8 *ჭონა ხოვლე (კასპის რ-ნი) 1901* *Ä. È. Adã-ëãã* (დ. არაყიშვილი) 1916: 88 #13
- ქ 9 *ჭონა ხვედურეთი (ქარელის რ-ნი) 1901* *Ä. È. Adã-ëãã* (დ. არაყიშვილი) 1916: 81 #13
- ქ 10 *ჭონა სამთავისი (კასპის რ-ნი) 1901* *Ä. È. Adã-ëãã* (დ. არაყიშვილი) 1916: 60 #11
- ქ 11 *ჭონა არანისი (არაგვის ხეობა) 1908* *Ä. È. Adã-ëãã* (დ. არაყიშვილი) 1916: 104 #15
- ქ 12 *ჭონა* დავით ჭკუასელის გადმოცემით, ჩამნ. მ. ჩირინაშვილი, (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 13-72)
- ქ 13 *ჭონა* თბილისის სახალხო და სამგალობლო გუნდი მიხეილ კავსადის ხელმძღვანელობით 1914 წ. (*Linich 2001: # 16*), ნოტირებული ავტორის მიერ
- ქ 14 *ჭონა ერთანმინდა (კასპის რ-ნი) [1899]* კარგარეთელი 1899: 8, # 2

*იმერეთი*

- ი 1 *ჭონა ბაზალეთი 1954, 5. VIII.*, ასრულებენ დები დევდარიანები, ედიშერ სავიციკის ექსპედიცია 28-10 (ინახება თბილისის კოსერვატორიის ფონოთეკაში)
- ი 2 *ჭონა კიცხი* ჩამნ. ედიშერ გარაყანიძე, ხელნაწერი
- ი 3 *ჭონა* ანს. «ორერა», კიცხი 28. 07. 2003, ჩანაწერილი და ნოტირებული ავტორის მიერ
- ი 4 *ჭონა ხარაგაული 1954* ედიშერ სავიციკის ექსპედიცია 27-9 (ინახება თბილისის კოსერვატორიის ფონოთეკაში)
- ი 5 *ჭონა ხარაგაული 1954, 5. VIII.*, ედიშერ სავიციკის ექსპედიცია 26-19 (ინახება თბილისის კოსერვატორიის ფონოთეკაში)
- ი 6 *ჭონა ჩხირაულის მოხუცების გუნდი 20. IX. 1959*, ჩამნ. გივი თხელიძე, (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 3939)

**დამონმებული ლიტერატურა**

არაყიშვილი, დიმიტრი. (1950). *რაჭული ხალხური სიმღერები*. თბილისი: ხელოვნება გარაყანიძე, ედიშერ. (1990). *ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთ-მიმართება*. დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი, ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში

გიორგაძე, მარინა. (1993). *ქართული ხალხური კალენდარული სანესჩვეულებო პოეზია*. თბილისი: მეცნიერება

კარგარეთელი, ია. (1899). *ქართული სახალხო სიმღერები, ნოტებზე გადმოღებული*. ტფილისი: ქართველთა შორის წერა-კითხის გავრცელების საზოგადოების გამოცემა №37

კოტეტიშვილი, ვახტანგ. (1967). *რჩეული ნაწერები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო

მაკალათია, სერგი. (1934). *ხევი*. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა

მამალაძე, თამარ. (1963). *ქართული ხალხური სიმღერა „ჭონა“*. კრებულში: გეგეშიძე, მიხეილ (რედ.) *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, XII-XIII. გვ. 235-249. თბილისი: მეცნიერება

ნაკაშიძე, ნინო. (1981). *საგაზაფხულო წესჩვეულებათა ციკლი საქართველოში*. სადიპლომო ნაშრომი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

როსებაშვილი, კახი. (1981). *ხალხური სიმღერები ჩანერილი და გადაღებული*. თბილისი: სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება

წერეთელი, გიორგი. (1893). *ბერიკობა*. ჟურნალი *კვალი*, N5

ჩიქოზავა, არნოლდ (რედ.) (1964). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ტ. VIII თბილისი: მეცნიერება

ჩიქოვანი, მიხეილ და შამანაძე, ნოდარ (რედ.). (1976). *ქართული ხალხური პოეზია*. ტ. 5: საწესჩვეულებო ლექსები. თბილისი: მეცნიერება

Äðàè-èââ, Ä. È. [= არაყიშვილი, დიმიტრი] (1916). *Äðçèí ñèí á í àðí áí í á ì óçú èàèúí í á ò áí ò-áñò áí, Ì òèñè èç V. ò «Tðáí á Ì óçú èàèúí í-Yò íí àðàò è-áñèí é Èí ì èññèè», Ì ì ñèà: Òèí ðàò èý Ä Èèñí áðà è Ä Ñí áñí*

Äæáí àðèäçà, Ä (1896). *Í àðí áí ù á ì ðàçáí èèè, í áú-àè è íí ááðúý ðà-èí óáá. «Ñáí ðí èè ì àò àðèàèí á àèý íí èññáí èá ì áñò è í èáí áí Èáèèäçà»* àñ òñè ÒÖÌ, ì à. II ñòð. 107-150

Çàì öí àèèè, Èçàèèè (1973). *Í áñí è, èñí í éí ýáø èáñý áí áðàí ý èèèáí ààðí ù ð í áðí áí á ááí ðí á ó ðññèèè. Ñí ááò ñèáý Yò íí àðàò èý 1*

### აუდიო ჩანაწერები

Grimaud, Yvette (1989) „*Géorgie – chants de travail / chants religieux*“ [საქართველო – შრომის სიმღერა და რელიგიური სიმღერა], 1967 წ. ჩანაწერები, CD, Paris: Ocora C559062

„Mtiebi“, Ensemble (1996), „*Traditionelle Gesänge aus Georgien*“ [ტრადიციული სიმღერები საქართველოდან], Stuttgart: Edition Musikat

მჭედლიშვილი, ვანო, 1989, “უნიკალური ჩანაწერები”, გრამფირფიტა, თბილისი: *Ì áñí-äèý M30 - 48157 005*

თარნიშვილი, მარო, 1988, “უნიკალური ჩანაწერები”, გრამფირფიტა, თბილისი: *Ì áñí-äèý M30 - 48159 004*

Linich, Carl, ed. (2001) *Drinking Horns & Gramophones 1902 – 1914 The first Recordings in the Georgian Republic* [ყანწები და გრამაფონი 1902–1914. პირველი ფონოჩანაწერები საქართველოში]. CD, New York: *Traditional Crossroads 80702-4307-2*



მაგალითი 3. ტონა, ჩან. კასპის რ-ნის სოფ. სამთავისში 1901 წ. დ. არაყიშვილის მიერ (ქ10), დასაწყისი

EXAMPLE 3. *Tchona*, recorded 1901 in Samtavisi (Kaspi region) by D. Araqishvili (K10), beginning

Andante Adagio accel. a tempo

ტო- ნა სას - ლო ტო - ნა ნა ტო- ნა

მაგალითი 4. ტონა, ასრულებს გუნდი მ. კავსაძის ხელმძღვანელობით, 1914 წ. (ქ13), დასაწყისი

EXAMPLE 4. *Tchona*, Choir directed by M. Kavsadze 1914 (K13), beginning

ღმერთმა, ააშენოს ეს ოჯახი!

გაისამავ ამდროსა, მოგვარე სიხარულისა მუდამ. მარხვა სინანულისა – აღდგომა სიხარულისა მოახსენეთ ბუღბუღლებო!

J = 100 accel.

ტო - ნა ტონას ვიუყე, ტონა ვნახე სარგებელი ვერა ვნახე ტონას ვიუყე, ტონა ვნახე

სარგებელი ვერა ვნახე შეი შეი და ალა-თასა, მალა-თასა ხელი ჩაჰკეცე კა- ლა- თასა

მუგალიტი 5. იმერული ტონა, ასრულებს ხარაგაულის რ-ნის სოფ. კიცხის ანს. „ორერა“ 2003 წ.  
 (ი3)

EXAMPLE 5. *Tchona*, (I3), recorded 2003 in Kitskhi (Kharagauli region) by the author

45 - 76

მო-გი-ლო-ცა-ვ დღე-სა-ს-წა-უ-ლ-ს ო ო ა ი ა ა აღ-დგო-მას და

აღ-დგო-მას და ა-ხა-ა კვი-რა - სა ო ა ო მთა-ში უ-რე - მი ავ-ტა-რე

Coda

ა - ი ა ე - ა - რი - ო ა - ი ა - ჯა შვი - ღო - ბა

მუგალიტი 6. ტონა, ჩან. ხარაგაულის რ-ნის სოფ. კიცხში ე. გარაყანიძის მიერ (ი2), ნაწილი  
 EXAMPLE 6. *Tchona*, recorded in Kitskhi (Kharagauli region) by Edisher Garaqanidze (I2).  
 fragment

ტონას ვი-ყავ. ტონას ვი-ყავ, ტონა ვნახე ა ა სარ-გე-ბელი

ვე-რა ვნა-ხე ა ა ე სარ-გე-ბე-ლი სარ-გე-ბელი ვე-რა ვნახე

მაგალითი 7. ტონა, ჩან. ქიათურის რ-ნის სოფ. ჩხირაულში 1959 წ. გ. თხელიძის მიერ (ი6),  
დასანყისი  
EXAMPLE 7. Tchona, recorded 1959 in Chkhirauli (Chiatura region) by G. Tkheldize (I6), beginning

Moderato

ო ი ოი და ო ო ი ო  
ო ი ნა და ო ა ი ო ო ოი და ო ო ი ა-გვი-შენ-და  
ო ო ო და ო  
მას-პინ-ძელი ო ა-გვი-შენ-და მას-პინ-ძე-ლი  
ო - ჯა- ხო და ო ი ო  
ო გა-თენ-ებუ - ლა ო - ჯა- ხო და ო ი ა-ლა- თა-სა ბა-ლა-თა-სა [ო]